საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა

ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე მონაწილედ რეგისტრაციის შესახებ განცხადება

შევსებისა და წარდგენის წესი

დღით ადრე და დღიურ ბაზარზე (ბირჟაზე) მონაწილედ რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს №46 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების წესების“ შესაბამისად.

ეს წესი გამოიყენება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 10 ივნისის №26/1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე მონაწილედ რეგისტრაციის შესახებ განცხადების“ შესავსებად (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2024 წლის 20 ივნისის №22/3 გადაწყვეტილებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით).

A | რეგისტრაციის ან სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შესახებ განცხადების შევსება

ბირჟაზე რეგისტრაციის ან რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანის მოთხოვნის მიზნით, კანდიდატმა უნდა შეავსოს რეგისტრაციის ფორმა სენბის ვებგვერდის მეშვეობით. სხვაგვარად შევსებული ფორმა ბირჟის ოპერატორის მიერ არ განიხილება.

სარეგისტრაციო ფორმის მე-2 გვერდის შევსების შემდეგ კანდიდატი ელექტრონული ფოსტის მის მიერ განსაზღვრულ მისამართზე იღებს უნიკალურ ბმულს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ფორმის შევსების გაგრძელება, ან უკვე შევსებული სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილება (დეტალურად იხილეთ C სექცია).

რეგისტრაციის მიზნით: საწარმო სენბის ვებგვერდზე ავსებს სარეგისტრაციო ფორმას, რის შედეგადაც გენერირდება შევსებული განცხადება, რომელიც უნდა წარედგინოს ბირჟის ოპერატორს, B სექციაში განსაზღვრული წესით.

სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების მიზნით: მონაწილე მის მიერ ელექტრონული ფოსტის განცხადების ფორმაში მითითებულ მისამართზე მიღებული უნიკალური ბმულის მეშვეობით იღებს წვდომას შევსებულ სარეგისტრაციო მონაცემებზე და თავად შეაქვს შესაბამისი ცვლილებები. ცვლილების შეტანის შემდეგ გენერირდება მონაწილის მიერ შევსებული ახალი განცხადება, რომელიც უნდა წარედგინოს ბირჟის ოპერატორს, B სექციაში განსაზღვრული წესით.

კანდიდატი ითვლება რეგისტრირებულად, ან სარეგისტრაციო მონაცემები ჩაითვლება შეცვლილად, ბირჟის ოპერატორის მიერ განცხადების დადასტურებისა და ხელმოწერის შემთხვევაში.

B | რეგისტრაციის ან სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შესახებ განცხადების წარდგენა

სენბის ვებგვერდის მეშვეობით შევსებულ ფორმას თან უნდა დაერთოს ყველა საჭირო დანართი და დადასტურებული ფორმით უნდა წარედგინოს ბირჟის ოპერატორს:

ა) უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი და ნოტარიულად დამოწმებული მატერიალური დოკუმენტის სახით - მისამართზე: ქ. თბილისი, იური გაგარინის #24. განცხადებების მიღება ხდება სამუშაო დღეებში, 11:00-17:00 პერიოდში. განცხადება ჩაითვლება მიღებულად ბირჟის ოპერატორისთვის მისი ჩაბარების დღეს.

ბ) „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ან კვალიფიციური სტამპით დადასტურებული ელექტრონული დოკუმენტის სახით - დოკუმენტი შესაძლებელია გაეგზავნოს ბირჟის ოპერატორს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე - mail@genex.ge ან წარედგინოს ელექტრონულ მატარებელზე ჩაწერილი ფორმით, „ა" პუნქტით განსაზღვრულ მისამართზე.

C რეგისტრაციის შესახებ განცხადების შევსების ინსტრუქცია

რეგისტრაციის შესახებ განცხადება ივსება სენბის ვებგვერდის მეშვეობით: www.genex.ge/ExchangeRegistration

რეგისტრაციის ფორმა, ერთი მხრივ, მოიცავს დებულებებს, რომლებიც წარმოადგენს ბირჟასა და ნებისმიერ მონაწილეს შორის დადებული ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, ხოლო, მეორე მხრივ, სპეციალურ ველებს, რომლებშიც მონაწილეს/კანდიდატს შეჰყავს სარეგისტრაციო მონაცემები.

<u>დეტალური ინსტრუქცია შესავსები გვერდების შესახებ</u>

1 ზოგადი დებულებები

ამ გვერდზე მოცემულია განცხადების (რომელიც ორივე მხარის მიერ ხელმოწერის შემთხვევაში განიხილება მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებად) ზოგადი დებულებები. კანდიდატი ამ გვერდს არ ავსებს, მხოლოდ ეცნობა მოცემულ დებულებებს.

2 ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

ამ გვერდზე კანდიდატი ავსებს ინფორმაციას მის შესახებ, შესაბამის ველებში საჭირო ინფორმაციის შეყვანით. ამ გვერდის შევსებისა და შენახვის შემდეგ, კანდიდატს ელექტრონული ფოსტის მითითებულ მისამართზე მიუვა უნიკალური ბმული, რომელის მეშვეობით შესაძლებელია ფორმის შევსების გაგრძელება ან უკვე შევსებულ (დაგენერირებულ ან/და წარდგენილ) ფორმაში ცვლილების შეტანა და ახალი ფორმის გენერირება. კანდიდატი ვერ შეძლებს სხვა გვერდზე გადასვლას ამ გვერდზე ინფორმაციის სრულად შევსების გარეშე.

სახელწოდება (ქართულად)	კანდიდატის ზუსტი სახელწოდება (იურიდიული ფორმის მითითებით) ქართულად
სახელწოდება (ლათინური ასოები)	კანდიდატის ზუსტის სახელწოდება (იურიდიული ფორმის მითითებით) ლათინური ასოებით. პლატფორმაზე რეგისტრაცია ხდება ამ ველში მითითებული სახელწოდების შესაბამისად.
საიდენტიფიკაციო კოდი	კანდიდატის საიდენტიფიკაციო კოდი
ელექტრონული ფოსტის მისამართი	ელექტრონული ფოსტის მისამართი: ▪ რომელზეც კანდიდატი მიიღებს მისი რეგისტრაციის განცხადების რედაქტირებისათვის ან შევსების გაგრძელებისათვის საჭირო უნიკალურ ბმულს

	▪ რომელზეც გაეგზავნება ბირჟის ოპერატორის მიერ ხელმოწერილი განცხადების ფორმა (ხელმოწერის შემთხვევაში) ▪ რომელზეც გაეგზავნება უარი რეგისტრაციის შესახებ ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია რეგისტრაციასთან დაკავშირებით ▪ მონაწილედ რეგისტრაციის შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის მითითებული მისამართი იქნება ოფიციალური საკომუნიკაციო საშუალება მონაწილესთან. *რეკომენდებულია, რომ მიუთითოთ ზოგადი მისამართი და არა კონკრეტული თანამშრომლის, რათა კადრების დენადობის პირობებში, ხშირად არ იყოს ცვალებადი საკომუნიკაციო მისამართი. ელექტრონული ფოსტის მისამართზე ელექტრონული წერილების შეუფერხებად მიღების უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება მონაწილეს/კანდიდატს.*
იურიდიული მისამართი	იურიდიულ მისამართი უნდა იძლეოდეს კანდიდატის ზუსტი იურიდიული მისამართის იდენტიფიცირების საშუალებას. მისამართში უნდა მიეთითოს: ▪ ქვეყანა (ასარჩევი) ▪ დასახლებული პუნქტი (მაგალითად: ქ. თბილისი, დაბა ბაკურიანი) ▪ ზუსტის მისამართი ▪ საფოსტო ინდექსი
ფაქტობრივი მისამართი	ფაქტობრივ მისამართში ივსება იგივე ველები, რაც იურიდული მისამართის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები ერთმანეთს ემთხვევა, კანდიდატს შეუძლია „იურიდიული მისამართის გამეორება“ ღილაკზე დაჭერით ფაქტობრივი მისამართი ველებში გადმოიტანოს იურიდიული მისამართისათვის უკვე შევსებული ინფორმაცია.
საქმიანობა/აქტივობა	კანდიდატი მიუთითებს იმ საქმიანობას, რომლითაც იგი რეგისტრირებულია საბითუმო ვაჭრობაში და რომლის ფარგლებშიც იგი ივაჭრებს ბირჟაზე; იმ შემთხვევაში თუ კანდიდატს ბირჟაზე ვაჭრობა სურს რამდენიმე საქმიანობის ფარგლებში, მან უნდა წარმოადგინოს რეგისტრაციის მოთხოვნა ცალ-ცალკე, საქმიანობების მიხედვით. ბირჟაზე ვაჭრობა დაშვებულია შემდეგი საქმიანობისთვის/აქტივობისთვის: ▪ ელექტროენერგიის წარმოება ▪ ელექტროენერგიის გადაცემა ▪ ელექტროენერგიის განაწილება ▪ ელექტროენერგიის მიწოდება ▪ საბოლოო მომხმარება (მათ შორის პირდაპირი მომხმარებელი)

3 საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეობა

კანდიდატს ამ გვერდზე არ შეჰყავს ინფორმაცია, ის მხოლოდ ეცნობა მოცემულ დებულებებს. საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციას ახდენს სს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი”. ბირჟაზე რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საბითუმო ვაჭრობაში რეგისტრირებულ მონაწილეთათვის..

4 ინფორმაცია წარმომადგენლების შესახებ

კანდიდატი ამ გვერდზე უთითებს მის ყველა სავაჭრო და საკლირინგო წარმომადგენელზე, ასევე, პორტფელის დათვალიერებაზე უფლებამოსილ წარმომადგენელზე და მათთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.

კანდიდატი განსაზღვრავს მისთვის სასურველი წარმომადგენლების რაოდენობას. ამ გვერდზე არ ხდება წარმომადგენლებისათვის როლების მინიჭება (სავაჭრო, საკლირინგო, დათვალიერება). მხოლოდ მიეთითება ყველა წარმომადგენლის საიდენტიფიკაციო მონაცემები.

ამავე გვერდზე შესაძლებელია არსებული წარმომადგენლის მონაცემების ცვლილება ან მისი წაშლა. გაითვალისწინეთ, რომ წარმომადგენლის წაშლის შემთხვევაში, ავტომატურად წაიშლება ის საკლირინგო ანგარიშები და პორტფელები, რომლებთანაც ეს წარმომადგენელი არის დაკავშირებული.

წარმომადგენლის შესახებ ინფორმაციის სრულად მითითების შემდეგ, ღილაკზე „დამატება“ დაჭერით წარმომადგენელი ემატება რეესტრში, რის შემდეგაც შესაძლებელია სხვა წარმომადგენლის დამატება.

თითოეული წარმომადგენლისათვის ივსება შემდეგი ინფორმაცია:

სახელი და გვარი (ქართულად)	წარმომადგენლის სახელი და გვარი ქართულად.
სახელი და გვარი (ლათინური ასოებით)	წარმომადგენლის სახელი და გვარი ლათინური ასოებით. პლატფორმაზე რეგისტრაცია ხდება ამ ველში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად
პირადი ნომერი	წარმომადგენლის პირადი ნომერი
ელექტრონული ფოსტის მისამართი	ელექტრონული ფოსტის მისამართი. მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართი იქნება ოფიციალური საკომუნიკაციო საშუალება მონაწილესთან, ასევე გამოიყენება პლატფორმაზე წვდომის ერთ-ერთ საშუალებად (ორმაგი ავტორიზაციის დროს)
მობილური ტელეფონის ნომერი	ტელეფონის ნომერი ქვეყნის კოდის მითითებით. ტელეფონის ნომერი გამოიყენება პლატფორმაზე წვდომის ერთ-ერთ საშუალებად (ორმაგი ავტორიზაციის დროს), ასევე წარმომადგენელთან კომუნიკაციის მიზნით
მობილური ტელეფონის ალტერნატიული ნომერი *(არ არის სავალდებულო)*	ტელეფონის ნომერი ქვეყნის კოდის მითითებით. გამოიყენება მხოლოდ წარმომადგენელთან კომუნიკაციის მიზნით. ამ ველის შევსება არ არის სავალდებულო, თუმცა წარმომადგენლისთვის არის კომუნიკაციის დამატებითი საშუალება, რაც შეიძლება იყოს გამოყენებული ძირითადი ნორმის ხელმიუწვდომლობის დროს)
სერტიფიკატის უნიკალური კოდი	სენბის მიერ გაცემული სავაჭრო წარმომადგენლის სერტიფიკატის უნიკალური კოდი, ასეთის არსებობის შემთხვევაში (კოდის მითითება აუცილებელია იმ პირზე, რომელიც უნდა იყოს მონაწილის სავაჭრო წარმომადგენელი)

5 ინფორმაცია განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი საკლირინგო ანგარიშის/ანგარიშების შესახებ

ამ გვერდზე კანდიდატი განსაზღვრავს მის საკლირინგო ანგარიშებს. კანდიდატმა უნდა განსაზღვროს სულ მცირე ერთი საკლირინგო ანგარიში. საკლირინგო ანგარიშის მიხედვით ხდება მასთან დაკავშირებული პორტფელების ვაჭრობის შედეგების შეჯამება ანგარიშსწორების მიზნით (მათ შორის ინვოისების გამოწერა).

საკლირინგო ანგარიში დაკავშირებული უნდა იყოს საბანკო ანგარიშთან, სადაც ბირჟის ოპერატორი რიცხავს მონაწილის წინაშე არსებული ვალდებულების შესაბამის თანხას. ერთი საბანკო ანგარიში შესაძლოა დაკავშირებული იყოს რამდენიმე საკლირინგო ანგარიშთან.

საკლირინგო ანგარიშის დამატების შემდეგ, ის დაემატება შექმნილი საკლირინგო ანგარიშების სიას და მიენიჭება ნომერი (მაგალითად, SA-1), რომელიც შემდგომ უნდა გამოიყენოთ სავაჭრო პორტფელის შექმნის დროს. ამავე გვერდზეა შესაძლებელი არსებული საკლირინგო ანგარიშის მონაცემების ცვლილება ან მისი წაშლა. გაითვალისწინეთ, რომ საკლირინგო ანგარიშის წაშლის შემთხვევაში, ავტომატურად წაიშლება ის პორტფელები, რომლებთანაც ეს ანგარიში არის დაკავშირებული.

საკლირინგო ანგარიშის შესახებ ინფორმაციის სრულად მითითების შემდეგ, ღილაკზე „დამატება“ დაჭერით საკლირინგო ანგარიში ემატება რეესტრში, რის შემდეგაც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ახალი საკლირინგო ანგარიშის დამატება.

გაითვალისწინეთ, რომ ყოველი საკლირინგო ანგარიში დაკავშირებული უნდა იყოს სულ მცირე ერთ პორტფელთან. დაუშვებელია საკლირინგო ანგარიშის დამატება ისე, რომ იგი შემდგომ არ დააკავშიროთ სავაჭრო პორტფელთან.

თითოეული საკლირინგო ანგარიშისათვის უნდა შეივსოს შემდეგი ინფორმაცია:

ანგარიშის ნომერი (IBAN)	საქართველოში რეგისტრირებულ ბანკში გახსნილი ლარის ანგარიშის IBAN ნომერი. ანგარიშის ნომრის შეყვანის შემდეგ, ძებნის [🔍] ღილაკზე დაჭერით ავტომატურად ივსება ბანკის დასახელება და ბანკის კოდი.
ბანკის დასახელება	იმ ბანკის დასახელება, რომელშიც გახსნილია მითითებული ანგარიში. ივსება ავტომატურად.
ბანკის კოდი (SWIFT)	ბანკის კოდი (SWIFT). ივსება ავტომატურად.
ანგარიშის მფლობელი	ჩვეულებრივ არის კანდიდატი (შეირჩევა ჩამოსაშლელი მენიუდან). ასევე, შესაძლებელია მიეთითოს სხვა პირი, თუ ეს დაშვებულია კანონმდებლობით.
ვალუტა	ამ ეტაპზე დაშვებული ვალუტაა მხოლოდ ქართული ლარი.

6 ინფორმაცია განმცხადებლის საკლირინგო წარმომადგენლების შესახებ

მე-4 გვერდზე განსაზღვრული წამომადგენლებიდან კანდიდატი ირჩევს პირს, რომელსაც განუსაზღვრავს საკლირინგო წარმომადგენლის როლს. კანდიდატმა უნდა დაამატოს სულ მცირე ერთი საკლირინგო წარმომადგენელი, თუმცა უფლებამოსილია საკლირინგო წარმომადგენლის უფლებამოსილება მიანიჭოს ერთზე მეტ წარმომადგენელს.

საკლირინგო წარმომადგენლის შესახებ ინფორმაციის სრულად მითითების შემდეგ, ღილაკზე „დამატება“ დაჭერის შემდეგ, საკლირინგო წარმომადგენელი ემატება რეესტრში, რის შემდეგაც შესაძლებელია სხვა საკლირინგო წარმომადგენლის დამატებაც.

თითოეული საკლირინგო წარმომადგენლისთვის, შესაბამისი უჯრის მონიშვნით უნდა განისაზღვროს წვდომის უფლება:

- **რისკის ანგარიშზე** - საკლირინგო წარმომადგენელს ექნება წვდომა მონაწილის მიერ ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალების შესახებ ინფორმაციაზე (მიიღებს ინფორმაციას წარდგენილი გარანტიის ოდენობის, გარანტიის მიმდინარე ოდენობის შესახებ);
  ან/და
- **ანგარიშსწორების ანგარიშზე** - საკლირინგო წარმომადგენელს ექნება წვდომა ბირჟის ოპერატორის მიერ გამოწერილ ინვოისებზე და გადახდის შესახებ ინფორმაციაზე.

მონაწილეს უნდა ჰქონდეს წვდომა როგორც რისკის, ასევე ანგარიშსწორების ანგარიშზე, რაც შესაძლებელია როგორც ორივე ანგარიშზე ერთი საკლირინგო წარმომადგენლის/წარმომადგენლების დაშვებით, ასევე თითოეულ ანგარიშზე სხვადასხვა საკლირინგო წარმომადგენლის/წარმომადგენლების დაშვებით.

7 ინფორმაცია განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი პორტფელის/პორტფელების შესახებ

ამ გვერდზე განისაზღვრება პორტფელები, რომელთა რეგისტრაცია სურს კანდიდატს. კანდიდატმა უნდა განსაზღვროს, სულ მცირე, ერთი პორტფელი ბირჟის თითოეულ სეგმენტზე (დღით ადრე ან დღიურ) ვაჭრობისათვის. მონაწილე თავად განსაზღვრავს პორტფელებს და ირჩევს ბირჟის სეგმენტს, რომელზეც სურს მოცემული პორტფელით ვაჭრობა. თითოეულ პორტფელთან დაკავშირებული უნდა იყოს, სულ მცირე, ერთი სავაჭრო წარმომადგენელი, მე-4 გვერდზე განსაზღვრული წარმომადგენლებიდან (სავაჭრო წარმომადგენელს უნდა გააჩნდეს სენბის მიერ გაცემული სავაჭრო წარმომადგენლის სერტიფიკატი და მისი უნიკალური კოდი მითითებული უნდა იყოს მე-4 გვერდზე).

მონაწილე, რომელიც საბითუმო ვაჭრობაში რამდენიმე სტატუსით ან/და მიზნით არის რეგისტრირებული, ბირჟაზე ვაჭრობაში მონაწილეობს თითოეული სტატუსისთვის ან/და მიზნისთვის ცალ-ცალკე რეგისტრირებული პორტფელით. ერთი პორტფელი არ შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე სტატუსთან ან ვაჭრობის მიზანთან, თუმცა რამდენიმე პორტფელით შესაძლებელია ერთი სტატუსის/მიზნის ფარგლებში ვაჭრობა

პორტფელის შესახებ ინფორმაციის სრულად მითითების შემდეგ, ღილაკზე „დამატება“ დაჭერით პორტფელი ემატება რეესტრში, რის შემდეგაც შესაძლებელია ახალი პორტფელის დამატება (საჭიროებისას).

თითოეული პორტფელისთვის ივსება შემდეგი ინფორმაცია:

პორტფელის უნიკალური სახელწოდება	პორტფელის უნიკალური სახელწოდება (არაუმეტეს 20 სიმბოლო). აღნიშნული სახელი ენიჭება სავაჭრო პლატფორმაზე მონაწილის პორტფელს. კანდიდატმა ერთი და იგივე სახელწოდება არ შეიძლება მიანიჭოს ერთზე მეტ პორტფელს. სახელწოდებაში დასაშვებია ლათინური ასოების, ციფრებისა და „ – „ (დეფისი) სიმბოლოს გამოყენება. უნიკალურობის უზრუნველყოფის მიზნით, პორტფელის საბოლოო სახელწოდება არის შემდეგი: [**საიდენტიფიკაციო კოდი]-[მითითებული სახელწოდება]**
საბითუმო ბაზარზე ვაჭრობისთვ ს მინიჭებული უნიკალური ნომერი	”სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის” მიერ მონაწილის სტატუსისთვის/საქმიანობისთვის მინიჭებული სპეციალური უნიკალური ნომერი.
სტატუსი და მიზანი	კანდიდატმა უნდა აირჩიოს მისი რეგისტრირებული საქმიანობის შესაბამისად ჩამოთვლილი სტატუსებიდან და ვაჭრობის მიზნებიდან ერთერთი, რომლის მიხედვითაც იგი განახორციელებს ბირჟაზე ვაჭრობას. ბირჟაზე ელექტროენერგიით ვაჭრობა დასაშვებია: • პირდაპირი მომხმარებელი - საკუთარი საბოლოო მოხმარების უზრუნველყოფის მიზნით; • უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი - მისაწოდებელი ელექტროენერგიის შესყიდვის მიზნით; • საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი - მისაწოდებელი ელექტროენერგიის შესყიდვის მიზნით; • თავისუფალი მიმწოდებელი - მისაწოდებელი ელექტროენერგიის შესყიდვის მიზნით; • თავისუფალი მიმწოდებელი - მისაწოდებელი ელექტროენერგიის შესყიდვის მიზნით; • ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი - მისაწოდებელი ელექტროენერგიის შესყიდვის მიზნით; • გადამცემი სისტემის ოპერატორის - გადამცემ ქსელში დანაკარგების შესყიდვის მიზნით; • გადამცემი სისტემის ოპერატორი - ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ტრანზიტის უზრუნველყოფისათვის დანაკარგების შესყიდვის მიზნით; • გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი - განაწილების ქსელში დანაკარგების შესყიდვის მიზნით; ელექტროსადგური - წარმოებული ელექტროენერგიით ვაჭრობის მიზნით;
დაკავშირებული საკლირინგო ანგარიში	მე-5 გვერდზე განსაზღვრული საკლირინგო ანგარიში, რომელიც უნდა დაუკავშირდეს აღნიშნულ პორტფელს. მითითებულ საკლირინგო ანგარიშში გაერთიანდება პორტფელის ვაჭრობის შედეგები ანგარიშსწორების (მათ შორის ინვოისების გამოწერის) მიზნით. გაითვალისწინეთ, რომ დაუშვებელია ერთ საკლირინგო ანგარიშთან დააკავშიროთ სხვადასხვა სეგმენტზე სავაჭრო შექმნილი პორტფელები. მაგალითად, თუ შექმენით ორი პორტფელი: A - დღით ადრე ბაზარზე ვაჭრობისათვის, ხოლო B

	- დღიურ ბაზარზე ვაჭრობისათვის, დაუშვებელია, ორივე ერთად დაკავშირდეს ერთ საკლირინგო ანგარიშთან.
ბაზრის სეგმენტი	ბაზრის სეგმენტი (დღით ადრე ან დღიური), რომელზე ვაჭრობის მიზნითაც მოთხოვნილია პორტფელის შექმნა. პორტფელის მეშვეობით შესაძლებელი იქნება ვაჭრობა ბირჟის მხოლოდ იმ სეგმენტზე, რომელიც მიეთითება.

პორტფელის წარმომადგენელ i/წარმომადგენლები

ერთ პორტფელთან დაკავ შირებული უნდა იყოს სულ მცირე ერთი წარმომადგენელი ვაჭრობის როლით (სავაჭრო წარმო მადგენელი). კანდიდატი უფლებამოსილია მიუთითოს ერთზე მეტი ის წარმომადგენელი (ვაჭრობან დათვალიერების როლით). ერთი წარმომადგენლის მითითების ბა“ შემდეგ, ღილაკზე „დამატე დაჭერის შემდეგ, წარმომადგენელი ემატება რეესტრში, რის შემდეგაც შესაძლებელია სხვა წარმომადგენლის დამატებაც.

წარმომადგენელი	მე-4 გვერდზე განსაზღვრული წამომადგენლებიდან კანდიდატი ირჩევს პირს, რომელსაც განუსაზღვრავს როლს.
როლი	შერჩეულ წარმომადგენელს შეიძლება მიენიჭოს შემდეგი როლები: ▪ **ვაჭრობა** - შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ სერტიფიცირებულ სავაჭრო წარმომადგენელს. სავაჭრო წარმომადგენელი აღნიშნული პორტფელით შეძლებს განაცხადის განთავსებას. ▪ **დათვალიერება** - შეიძლება მიენიჭოს ნებისმიერ წარმომადგენელს. ამ წარმომადგენელს არ ექნება აღნიშნული პორტფელით განაცხადის განთავსების უფლება/საშუალება.

8 მხარეთა ვალდებულებები

კანდიდატს ამ გვერდზე არ შეყავს ინფორმაცია, ის მხოლოდ ეცნობა მოცემულ დებულებებს.

9 კომუნიკაცია და ინფორმაციის მიმოცვლა

კანდიდატს ამ გვერდზე არ შეყავს ინფორმაცია, ის მხოლოდ ეცნობა მოცემულ დებულებებს.

10 კონფიდენციალური ინფორმაცია

გარდა ბაზრის წესებით გათვალისწინებული ინფორმაციისა, კანდიდატი უფლებამოსილია მიუთითოს ინფორმაციაზე, რომელიც წარმოადგენს მის კონფიდენციალურ ინფორმაციას და ითხოვს ბირჟის ოპერატორის მხრიდან მის დაცვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11 ანგარიშსწორება

კანდიდატს ამ გვერდზე არ შეყავს ინფორმაცია, ის მხოლოდ ეცნობა მოცემულ დებულებებს.

12 განცხადების დანართები

ამავე გვერდზე კანდიდატი აღნიშნავს იმ დანართებს, რომელიც ერთვის განაცხადს და მიუთითებს ჯამურად თანდართული დოკუმენტების გვერდების რაოდენობას (გვერდების რაოდენობის შეყვანის შემდეგ უნდა დააჭიროთ ღილაკს „შენახვა“). მოცემულ გრაფაში კანდიდატი დანართის სახით არ აღნიშნავს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, იმ შემთხვევაში თუ კანდიდატს არ ევალება ბირჟის მოთხოვნილ სეგმენტზე/სეგმენტებზე რეგისტრაციის საფასურის ან დამატებითი პორტფელის რეგისტრაციის საფასურის გადახდა.

13 მხარეთა ხელმოწერა

კანდიდატი მიუთითებს განცხადებაზე ხელმომწერი პირის სახელს, გვარს და თანამდებობას. ინფორმაცია უნდა შეივსოს ქართულ ენაზე.

განცხადების შევსების შემდეგ, ღილაკზე „ჩამოტვირთვა“ დაჭრის შემდეგ, ჩამოიტვირთება შევსებული განაცხადი. ჩამოტვირთული განაცხადი და საჭირო დანართები ბირჟის ოპერატორს წარედგინება B სექციაში განსაზღვრული წესით.